დანართი №2

ვამტკიცებ _____

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორი

2019 წლის 09.09

N 1/16 ბრძანებით

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

2019 წ

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა

1.1. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის (შემდგომში სკოლის) პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება შრომის ბაზრის - დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს ან/და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს ან/და სკოლაში წლების განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხული /კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების• რაოდენობრივი კვლევის ანალიზს, ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს ან/და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს;

1.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ რექტორის სახელზე წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი, პროფესიული პროგრამ(ებ)ის შემუშავების/დანერგვის საჭიროების შესახებ, რექტორის მიერ განიხილება წარდგენილი წინადადება, რაზეც თანხმობის შემთხვევაში იგი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შემადგენლობასა და სამუშაო ვადების განსაზღვრის შესახებ.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/ცვლილებების განხორციელება და დამტკიცება

2.1. საგნობრივი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში საგნობრივი პროგრამა)- პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

2.2. მოდულური პროფესიული საგანმანათლებრივი პროგრამა(მოდულური პროგრამა) - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

2.3.**საგნობრივი პროგრამა–** საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა ახორციელებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს(სილაბუსებს). პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის ხანგძლივობა, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს თან ერთვის სილაბუსები.

2.4. **მოდულური პროგრამების** შემთხვევაში, **დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროგრამაში შესაძლებელია განისაზღვროს:** სახელწოდება, სარეგიტრაციო ნომერი, პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა,პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, პროგრამის განხორციელების გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. მოდული წარმოადგენს მოდულური პროგრამის განუყოფელ ნაწილს, მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით. ხოლო მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება ასევე მტკიცდება სამართლებრივი აქტით.

2.5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში /განახლებაში(ცვლილებების განხორციელება, როდესაც იცვლება კრედიტების რაოდენობა და სწავლის შედეგები) მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი შესაბამისი პროგრამების ხელმძღვანელთან ერთად(არსებობის შემთხვევაში), პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით, ასევე შესაძლებელია ჩართული იყოს დამსაქმებელი/დამსაქმებლები ან/და საწარმოო პრაქტიკის მონაწილე სუბიექტი/სუბიექტები; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს თან ერთვის მოდულები/სასწავლო კურსები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე პროგრამის პროექტი მტკიცდება სკოლის რექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით.

2.6.შესაბამისი მოდულის დაწყებამდე პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ დგება კალენდარული გეგმები და შეფასების ინსტრუმენტები.

2.7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/სილაბუსებში/მოდულებში ცვლილებები შესაძლებელია განხორცელდეს შემდეგი საჭიროების შემთხვევაში:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე;
ბ)განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესაბამის ჩარჩო დოკუმენტში/სტანდარტში განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში ;
2.8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის წარდგინებით მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტი

3.1 სკოლის პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც ჩარიცხულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
3.2.სკოლის ხელმძღვანელობა ვალდებულია სასწავლო პროცესის დროს უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოება;
3.3. პროფესიული პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:
3.3.1. არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს სასწავლო პროცესი;
3.3.2. დაემორჩილოს სკოლის წესდებით, დებულებებით .დადგენილ მოთხოვნებს და პროფესიული განათლების მასწავლებლის ან სასწავლო პროცესის სხვა უფლებამოსილი პირის შესაბამის მოთხოვნებს;
3.3.3. მზრუნველობით მოეპყროს და გაუფრთხილდეს სკოლის ქონებას;
3.3.4. პატივისცეს სხვა პროფესიული სტუდენტის ღირსებას, არ დაუშვას მისი დაჩაგვრა ან რაიმე ფორმით ზეწოლა ან რაიმე ქმედების იძულება;
3.3.5. პროფესიული სტუდენტის მიერ სკოლისათვის მიყენებული ზიანის გამო, მატერიალური პასუხისმგებლობა პირდაპირი ნამდვილი ზიანის ოდენობით ეკისრება სტუდენტს.
3.3.6. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთიერებების სკოლის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება;
3.4. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:
3.4.1. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხოფისაგან;
3.4.2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გამოთქვას აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
3.4.3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს სკოლის რექტორთან პროფესიული განათლების მასწავლებლის ან სასწავლო პროცესის სხვა მონაწილის არამართლზომიერი ქმედება;
3.4.4. სკოლის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

4.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის , ამ წესის და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის მოთხოვნათა დაცვით რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე.
4.2.პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს;
4.3. სკოლის რექტორის ბრძანებით:
4.3.1. ცხადდება საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე მიღება, რომელიც განსაზღვრავს ჩასარიცხად წარმოსადგენ დოკუმენტების ნუსხასა, სწავლების საფასურს, ადგილების რაოდენობას და ამ დოკუმენტების მიღების ვადას;

4.4. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

4.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტაცია:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა სკოლის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

- სკოლის მიერ დადგენილი ფორმის განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან/და დაბადების მოწმობის ასლი
- საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან დოკუმენტის ასლი;
- უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დოკუმენტი;
- ორი ფოტოსურათი 3x4;
- არასრულწლოვნების შემთხვევაში მშობლის /კანონიერი წარმომადგენელის(დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება წარმომადგენლობა) პირადობის ასლი და დაბადების მოწმობის ასლი;

4.6. სკოლას სურვილის შემთხვევაში შეუძლია ჩაერთოს პროფესიულ ტესტირებაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ფარგლებში, დეტალები რაც არ არის დაზუსტებული აღნიშნული დებულებით დარეგულირდება პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების შესაბამისად რექტორის ბრძანებით.

4.7. სკოლა პროფესიულ სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას სასწავლო მომსახურების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს სკოლის სახელით რექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი ან არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი - მეორე მხრიდან;

4.8.რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

5.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

5.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;

გ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;

დ) მძიმე ავადმყოფობის გამო;

ე) ორსულობისა და ახალშობილის მოვლის გამო;

ვ) უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების გამო;

ზ)დაწესებულების შინაგანაწესის განსაზღვრული სხვა შემთხვევები(არსებობის შემთხვევაში).

5.3. ამ მუხლის დ,ე,ვ პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას პროფესიული სტუდენტი ან მისი წარმომადგენელი განცხადებით (რომელსაც, საჭიროებისამებრ, უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) მიმართავს დაწესებულების რექტორს და ითხოვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.

5.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში;

5.5 სტატუსის შეჩერების პერიოდში დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება ან დამატებითი პირობების დაწესება აღდგენისათვის;

5.6. პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, თუ მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან სამ სამუშაო დღეში.

5.7. სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 3 წლის ვადით. ამ ვადაში სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა
5.8. სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში,.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

6.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადების საფუძველზე;
6.2 პროფესიული სტუდენტი საჭიროების შემთხვევაში სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური გეგმით/ინდივიდუალური ცხრილით პროგრამის იმ ეტაპიდან როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
6.3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;
6.4 პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

7.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
გ) გარდაცვალება;
დ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;
ე)ამ დებულებით განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დადგენილ ვადებში შემდეგ სტატუსის აღუდგენლობა;
7.2. პირს, რომელსაც შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან ხუთ სამუშაო დღეში;
7.3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია ამ დებულებით დადგენილი წესით.
7.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 8. მობილობა

8.1.დაწესებულებაში მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება(შიდა მობილობა) ან სხვა დაწესებულებაში გადასვლა(გარე მობილობა);
ბ) თუ სხვა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა ამ დაწესებულებაში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

8.2.მობილობის მსურველთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთათვის სხვა დაწესებულებაში/ ამ დაწესებულებაში სხვა პროგრამაზე გადასვლა შესაძლებლია ნებისმიერ დროს. ამის შესახებ პროფესიულმა სტუდენტმა დაწესებულების ადმინისტრაციას განცხადებით უნდა მიმართოს; რასაც თან დაურთავს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) პირადი საქმე

ბ) ცნობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული ან აღიარებული კრედიტების შესახებ ან სტუდენტის ბარათი დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერით და ბეჭდით;

8.3.მობილობის განხორციელებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობის საკითხს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, რასაც მოხსენებითი ბარათის სახით წარუდგენს რექტორს;

8.4.მოდულური პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს და დაწესებულება ავტომატურად ჩაუთვლის მას გავლილ მოდულებს/სწავლის შედეგებს;

8.5.მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება მოდულის გავლა.

მუხლი 9 .სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

9.1. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, პროფესიული სტუდენტის მიღებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაბამისობის დადგენის გზით.

9.2.თუ პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის /მოდულების სახელწოდება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა სკოლის შესაბამისი პროგრამის სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდებასა და კრედიტების რაოდენობას, მაშინ პირს ავტომატურად უღიარდება კრედიტები;

9.3.თუ პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის/მოდულების კრედიტების რაოდენობა აღემატება სკოლის შესაბამისი სასწავლო კურსის/მოდულების კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა

9.3.თუ პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის /მოდულების კრედიტების რაოდენობა ნაკლებია სკოლის შესაბამისი სასწავლო კურსის/მოდულების კრედიტების რაოდენობაზე, მაშინ ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს მიმღებ დაწესებულებაში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 10. არაფორმალური განათლების და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

10.1. არაფორმალური განათლებისა და ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესებით.

10.2. რეგულირებადი პროფესიის ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარება ხდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

10.3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

10.4. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა დადგენილი წესით, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.
10.5. განათლების აღიარებისასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგულირდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 11. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა

11.1.ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ)მობილობით გადმოდსული პირი,რომლის სწავლისშედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;

გ)პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

11.2. პირველ(ა) შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული მასწავლებელი მიმართავს ადმინისტრაციას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების ხელმძღვანელს;

11.3. მეორე (ბ) შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;

11.4.მესამე(გ) შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით;

მუხლი 12. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

12.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

12.2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

12.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

12.4. დაწესებულების მიერ ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ ამ მუხლის ა) ქვეპუნქტით დადგენილი ღონისძიებები

12.5. მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისათვის(საგნობრივი)

13.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ხუთი დადებითი შეფასებით.

13.2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

13.3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

13.4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

13.5. შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს საშუალება ეძლევა ერთხელ გავიდეს დამატებით შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე.

13.6. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ძირითადი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღეში.

13.7. გამოცდის ჩატარების ფორმა და შეფასებები განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსებით.

13.8. თეორიული და პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ფორმდება შესაბამისი შეფასების უწყისებით.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოდულური პროგრამების შემთხვევაში

14.1.სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

14.2. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა. პირადი განცხადების საფუძველზე გავიდეს განმეორებით შედეგის დადასტურებაზე 2 ჯერ, თუ ისევ ვერ დაადასტურა შედეგი აღნიშნული შედეგ(ებ)ი უნდა გაიაროს თავიდან.

14.3. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვთ;

14.4 შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

14.5. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას

14.6. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის დაწყებამდე განმახორციელებელი პირი, რომელსაც განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იმავე მიმართულების სხვა დარგის წარმომადგენელთან და ვალიდაციის შემთხვევაში, შესაბამისი წარწერით „შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან“ ადასტურებს შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებაზე დასტურს.

14.7. მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს საქმისმწარმოებელს;

14.8. მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან შესამაბის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე/სხვა სასწავლებელში მობილობამდე.

14.9.სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.

მუხლი 15. კვალიფიკაციის მინიჭება

15.1. კვალიფიკაცია ენიჭება პროფესიული სტუდენტს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დაძლევის შემთხვევაში.

15.2. სწავლის შედეგების დაძლევის დადასტურებას ახორციელებს რექტორის მიერ შექმნილი სპეციალური საკვალიფიკაციო კომისია.

მუხლი 16 . კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია

16.1. რექტორი ბრძანების გამოცემის გზით ქმნის საკვალიფიკაციო კომისიას (შემდგომში-კომისია).

16.2. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ:

ა.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ბ.სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მენეჯერი;

გ.შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

დ. პროგრამის განმახორციელებელი პირი ან და პროფესიული განათლების მასწავლებელი (საწარმოო პრაქტიკის).

16.3. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია სხვა პირების მონაწილეობა, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების რექტორი.

16.4. კომისია იკრიბება ერთჯერადად შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.

16.5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელიც არის კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველი.

მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭება

17.1. პროფესიული კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით;

17.2. კომისია შეისწავლის თითოეული პროფესიული სტუდენტის მიღებულ შეფასებებს და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების საკითხს.

17.3. მოდულური პროგრამების შემთხვევაში,პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნას მოდულებით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი.

17.4. კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმი წარედგინება რექტორს.

17.5. კომისიის ოქმის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

17.6. დაწესებულების რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების განუყოფელი ნაწილია კომისიის სხდომის ოქმი.

17.7. რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე დაწესებულება ამზადებს და გასცემს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს, რომლის ნიმუშიც დამზადებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების და პროცედურების დაცვით და შეთანხმებულია შესაბამის ორგანოებთან. კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს რექტორი.

17.8. პროფესიული დიპლომის აღრიცხვის წესი განსაზღვრულია დაწესებულების საქმისწარმოების წესით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი

მუხლი 18. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შენობაში გადაადგილების თავისებურებები

18.1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

ა) დაწესებულების შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით;

ბ) დაცვის სამსახურის თანამშრომლის გამოყოფას შეუფერხებელი გადაადგილებისათვის დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე.

ვ) ადმინისტრაციის თანამშრომლის მიმაგრებას, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია–კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.

18.2. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის

მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

18.3.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

მუხლი 19. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმები

19.1. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით მათ შეძენას უზრუნველყოფს დაწესებულების რექტორი.

19.2. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;

19.3. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით;

19.4. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

19.5. მალფუჭებადი მასალები და ნედლეული ინახება შესაბამის მაცივრებში, ინსტრუქციაში აღნიშნული შენახვის წესის შესაბამისად.

მუხლი 20. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

20.1.სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია ხორციელდება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;

20.2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულებას.

20.3. ამ წესის მითითებული პირობების კონტროლი და პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება დაწესებულების რექტორს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მუხლი 21. კონტიგენტის განსაზღვრის წესი

21.1.შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A,B,C ;

21.2.დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იქნას განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B ან B და C ან A და C გარემო.

21.3. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით და საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით;

21.4.B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია.

21.5.C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად პროგრამის მოდულების შესაბამისად.

21.6.დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისიწინებით, მაქსიმუმ ორ ცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

21.7.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამების უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, სპეციალიზებულ სახელოსნოებში, ღია სივრცეში.

21.8.პრაქტიკული მოდულები ითვალისწინებენ პროფესიული სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტებთან შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები;

21.9. პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირი.

მუხლი. 22.გარდამავალი დებულებები

22.1. აღნიშნულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს ამტკიცებს სკოლის რექტორი ბრძანებით.

22.2. ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია რექტორის მერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის გზით.